

მგვს დონეები

I დონე: მხედველობით ფუნქციას იყენებს ადვილად და წარმატებით ვიზუალურ აქტივობებში

I დონეზე მყოფ ბავშვთა უმეტესობისთვის გამოწვევა არის მხედველობითი ფუნქციის გამოყენება უცნობ და/ან ხალხმრავალ გარემოში და/ან ახალი აქტივობები. ისინი არ საჭიროებენ დამხმარე სტრატეგიებსა და ადაპტურ საშუალებებს.

II დონე: მხედველობით ფუნქციას იყენებს წარმატებით, თუმცა ესაჭიროება თვითინიცირებული დამხმარე სტრატეგიები.

ბავშვები II დონეზე საჭიროებენ თვითინიცირებულ დამხმარე სტრატეგიებს ვიზუალური აქტივობის შესრულებისთვის. ისინი თავს არიდებენ ან იშორებენ ზოგიერთ ვიზუალურ აქტივობას. თუმცა ეს არ ზღუდავს ან მსუბუქად ზღუდავს დამოუკიდებლობის ხარისხს ყოველდღიურ აქტივობაში.

III დონე: მხედველობით ფუნქცია იყენებს, თუმცა ესაჭიროება გარკვეული ადაპტირება.

ბავშვები III დონეზე, გარდა თვითინიცირებული დამხმარე სტრატეგიებისა, საჭიროებენ გარკვეულ ადაპტაციას, რათა მუდმივად გამოიყენონ მხედველობითი ფუნქცია და შეასრულონ ვიზუალური აქტივობები ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადაპტაცია მოიცავს გარემოს მოდიფიკაციას, ადაპტური

განსხვავება I და II დონეს შორის

I და II დონეებს შორის განსხვავება არის თვითინიცირებული დამხმარე სტრატეგიების საჭიროება, რათა მოხდეს მხედველობითი ფუნქციის გამოყენება მუდმივად და დამოუკიდებლად ვიზუალური აქტივობებისათვის. ბავშვებთან პირველ დონეზე შეიძლება გამოვლინდეს სიმნელები: ახალი საგნების ან უცნობი სახეების ან გარემოს შესწავლისას. ბავშვები მეორე დონეზე ასრულებენ იგივე აქტივობებს რასაც, პირველი, თუმცა ამისთვის საჭიროებენ თვითინიცირებულ დამხმარე სტრატეგიებს: თავის პოზიციის შერჩევა(თავის მობრუნება), რათა გაადვილდეს ვიზუალური სამიზნის ლოკალიზება ან გააუმჯობესოს თვალის მოძრაობის ხარისხი; თვალის ხამხამი ან თითით მინიშნება რათა უკეთ აღიქვას რთული გამოსახულება(მრავლობითი დეტალებით, ზომებით, სხვადასხვა მიმართულებების მქონე ობიექტებით, სხვადასხვა განათების პირობებში ან თუ ხდება საგნების ზედდება); ვიზუალური სამიზნის ან ობიექტის მანძილის რეგულირება მხედველობის უკეთ ფოკუსირებისთვის ან სტაბილური ფიქსაციისთვის. ვიზუალური სამიზნის განთავსება (მაგალითად: სათამაშოები ან სასკოლო ინვენტარი) მხედველობის ველის სპეციფიურ არეში.

განსხვავება II და III დონეს შორის

II და III დონეს შორის განსხვავება არის ადაპტური გარემოს საჭიროება, რათა მოხდეს მხედველობითი ფუნქციის გამოყენება ყოველდღიურ აქტივობაში. ბავშვები მეორე დონეზე ირჩევენ სპონტანურ (თვითინიცირებულ) სტრატეგიებს, რომელიც საშუალებას აძლევთ გამოიყენონ მხედველობითი ფუნქცია ვიზუალურ აქტივობებში. ბავშვები მესამე დონეზე საჭიროებენ გარემოს ადაპტირებას და/ან აქტივობის მოდიფიკირებას ვიზუალური აქტივობების შესრულებისთვის. მათ ესაჭიროებათ მკვეთრად კონტრასტული მქონე ფონი (მაგალითად ჭადრაკის დაფა, შავი და თეთრი, ლურჯი და ყვითელი, წითელი და თეთრი პატერნები), ოპტიმალური ზომისა და კონტრასტის ვიზუალური სამიზნი, ნაკლები ვიზუალური გადატვირთვა, მანძილის რეგულირება ვიზუალურ სამიზნემდე, და/ან საკითხავი მერხები და/ან გამადიდებელი სისტემები და სხვა ვიზუალური ტექნოლოგიური საშუალებები.

მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური ხელსაწყოების გამოყენებას მხედველობითი ფუნქციის გასაუმჯობესებლად.

IV დონე: მხედველობით ფუნქციას იყენებს მხოლოდ მნიშვნელოვანად ადაპტურ გარემოში, თუმცა ასრულებს ვიზუალური აქტივობების მხოლოდ ნაწილს.

ბავშვები IV დონეზე იყენებენ მხედველობით ფუნქციას, მხოლოდ მნიშვნელოვანად ადაპტურ გარემოში, თუმცა მხედველობითი ფუნქციის გამოყენება არამუდმივია. ასრულებენ ვიზუალური აქტივობების მხოლოდ ნაწილს და ვიზუალური აქტივობის დაწყებისა და განხორციელებისათვის იყენებენ სხვა სენსორულ უნარებს.

განსხვავება III და IV დონეებს შორის

მესამე და მეოთხე დონეს შორის განსხვავება არის ის, რომ ბავშვები მესამე დონეზე იყენებენ მხედველობით ფუნქციას მუდმივად ვიზუალური აქტივობების შესასრულებლად. და სხვა სენსორულ უნარებს არ საჭიროებენ. ბავშვებს მეოთხე დონეზე დამატებით ადაპტაციის გარდა, მხედველობითი ფუნქციის გაუმჯობესებისათვის ესაჭიროებათ სპეციალური განათება. მაგალითად სამიზნე ობიექტის განათება ნახევრად ბნელ პირობებში. მათი მხედველობითი ფუნქცია შეზღუდულია, არამუდმივია და შეუძლიათ ვიზუალური აქტივობების მხოლოდ ნაწილის შესრულება. მაგალითად მათ აქვთ თვალთ ხანმოკლე კონტაქტი, ფიქსირებას ახდენენ მხოლოდ უკიდურესად ადაპტირებულ სიტუაციებზე და ცნობენ სახეებს და საგნებს სხვა სენსორული უნარების გამოყენებით. ვიზუალური მონიტორინგი გაძნელებულია სხვა სენსორული უნარების დახმარების გარეშე.

V დონე: მხედველობით ფუნქციას ვერ იყენებს მნიშვნელოვანად ადაპტირებულ გარემოშიც.

ბავშვებს V დონეზე აქვს ძლიერი შეზღუდვა ყოველდღიურ ვიზუალურ აქტივობებში, მნიშვნელოვანად ადაპტურ გარემოშიც კი. უმეტესად იყენებენ სხვა სენსორულ უნარებს (სმენა, შეხება)

განსხვავება IV და V დონეებს შორის

IV და V დონეებს შორის განსხვავება არის ბავშვის უნარი შეასრულოს ვიზუალური აქტივობის ნაწილი მნიშვნელოვან ადაპტურ გარემოში. ბავშვები IV დონეზე ზოგჯერ იყენებენ მხედველობით ფუნქციას მნიშვნელოვან ადაპტურ გარემოში და სხვა სენსორული უნარების (სმენა, შეხება და ა.შ) დახმარებით. ბავშვები V დონეზე ჩვეულებრივ ვერ ასრულებენ ვიზუალურ აქტივობებს და ყოველთვის საჭიროებენ სხვა სენსორულ უნარების გამოყენებას.

სქემა - მფკს დონის განსაზღვრისთვის

